ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N8

ქალაქი ბათუმი 20 აპრილი 2022 წელი

ერთი მხრივ, **ა(ა)იპ ნიკოლოზ კანდელაკის სამხატვრო სკოლა,** (შემდგომში „შემსყიდველი“), წარმოდგენილი **დირექტორის გურამ ფუტკარაძის** სახით და მეორე მხრივ **შპს „კორვეტი“** (ს/კ**445454749)** (შემდგომში „მიმწოდებელი“), წარმოდგენილი **დირექტორის ბადრი აბულაძის** სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10[1]-ე მუხლის მე-5 პუქტისა (ერთგვაროვანი ობიექტების ეტაპობრივად შესყიდვა) და “გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე” სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-2 მუხლის ,,ა'' ქვეპუნქტის (5000 ლარამდე ერთგვაროვანი ობიექტების შესყიდვა) საფუძველზე დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ „ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება მასზე თანდართული ყველა დოკუმენტითა და დამატებებით, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ;

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ;

1.3. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიცახორციელებსშესყიდვას;

1.4. „მიმწოდებელი“–პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას მოცემულიხელშეკრულებისფარგლებში;

1.5. “დღე”, “კვირა”, “თვე” – კალენდარულიდღე, კვირა, თვე;

1.6. „საქონელი“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი;

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანია შემსყიდველისათვის ფერადი პრინტერის კარტრიჯის დასატუმბი ტონერის(მელანი) მიწოდება.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება შეადგენს **220,00 (ორასოცი)ლარს.**

3.2.ხელშეკრულებას თან ერთვის დანართი N1, კლასიფიკატორის კოდების, ერთეულის ფასებისა და მთლიანი ღირებულების მითითებით და წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3.3. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს საქონლის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებით მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა სავარაუდო ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

4. საქონლის მიწოდების პირობები და ადგილი

--- ---

შემსყიდველი მიმწოდებელი

4.1. საქონლის მიწოდება მიმწოდებელმა უნდა განახორციელოს 2022 წლის 05 მაისამდე.

4.2. საქონლის მიწოდების ადგილია ქ. ბათუმი,ფიროსმანის ქ. N16.

5. საქონლის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. საქონლისმიღება-ჩაბარებას ახორციელებენ სათანადოდ უფლებამოსილი პირები.

5.2. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილნი არიან ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირები.

5.3. საქონელი მიღებულად ჩაითვლება, მხოლოდ, მიწოდებული საქონლის რაოდენობის და ღირებულების მითითებით წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადების საფუძველზე შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

5.4. შემსყიდველმა უნდა შეამოწმოს შესყიდვის ობიექტი ხელშეკრულების პირობებთან მიმართებაში.

5.5. თუ შესყიდვის ობიექტი არ შეესაბამება ხელშეკრულების პირობებს, შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად ან მის გარეშე ადგენს აქტს დადგენილი წესის შესაბამისად.

5.6. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად (წერილობითი ან ზეპირი სახით) აცნობოს მიმწოდებელს დაწუნებული საქონლის თაობაზე წუნდების მიზეზის მითითებით.

6. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

6.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით(საბიუჯეტო სახსრებით – 100%)ხელშეკრულებით გათვალსწინებულ რეკვიზიტებზე, ეროვნულ ვალუტაში.

6.2. შემსყიდველი ანგარიშსწორებას ახორციელებს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების 5.3. მუხლით განსაზღვრული წესით წარმოდგენილი სასაქონლო ზედნადების საფუძველზე შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 7 კალენდარული დღის განმავლობაში.

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია წარმოდგენილ სასაქონლო ზედდებულზე ან/და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურაზე მიუთოთოს ყველა საჭირო რეკვიზიტი. წინააღმდეგ შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს არ მიიღოს დოკუმენტი.

7. გარანტია

7.1. მიწოდებული საქონლის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირობებს და არსებულ სტანდარტებს.

7.2. მიმწოდებელი პასუხისმგებელია ხელშეკრულების საგანის ხარისხზე.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

8.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

8.2. შემსყიდველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებს სკოლის **დირექტორი გურამ ფუტკარაძე.**

9. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0.07 პროცენტის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება

---	---
შემსყიდველი	მიმწოდებელი

და მოთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია მეორე მხარეს აცნობოს ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.
11.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ღირებულების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
11.3. ხელშეკრულებისპირობებისნებისმიერიცვლილებაუნდაგაფორმდესხელშეკრულებისდანართისსახით, რომელიცჩაითვლებახელშეკრულებისგანუყოფელნაწილად.
11.4. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელის მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. ხელშეკრულებისშეწყვეტა

12.1. შემსყიდველს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.
12.2. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

13. სადავო საკითხების გადაწყვეტა

13.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.
13.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მიმართოს სასამართლოს.

14. სხვა პირობები

14.1. საქონლის ან მისი ნებისმიერი ნაწილის გამოყენებისას საპატენტო უფლების დარღვევასთან, ასევე სასაქონლო მარკის ან საწარმოო ნაკეთობის გამოყენებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავების ან მატერიალური პასუხისმგებლობის მოგვარება ეკისრება მიმწოდებელს.
14.2. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს საქონლის ისეთი შეფუთვა, რომელიც დაიცავს მას

--- ---

შემსყიდველი მიმწოდებელი

დაზიანების ან გაფუჭებისაგან დანიშნულების ადგილამდე ტრანსპორტირების პროცესში.

14.3. არცერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.4. ხელშეკრულება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

14.5. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული წერილის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ანშეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილდღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიანდგება.

14.6. ხელშეკრულებადამასთანდაკავშირებულიმთელიწერილობითიმოლაპარაკებებიდასხვადოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის შესრულდება ქართულ ენაზე.

14.7. ხელშეკრულება შედგენილია ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან (მხარეთა ხელმოწერის დღიდან) და მოქმედებს 2022 წლის 05 იანვრამდე.

16. მხარეთარეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
ა(ა)იპ ნიკოლოზ კანდელაკის სამხატვრო სკოლა ს/კ 445391763 იურ. მისამართი: ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. N16 სახელმწიფო ხაზინა ტელ: 24 51 64; 593 358 199 **დირექტორი: გურამ ფუტკარაძე** ---------- თარიღი: 20.04.2022 წ.	**შპს „კორვეტი“** ს/კ 445454749 Korveti2015@gmail.com იურ/მის: ქ.ბათუმი, მ.აბაშიძის გამზ.63 ანგარიშის რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი“ BAGAGE22 ანგ. GE41BG0000000700449100 ტელ: 597 423 113 **დირექტორი: ბადრი აბულაძე** ---------- თარიღი: 20.04.2022 წ.

Badri Abuladze

Digitally signed by Badri Abuladze
Date: 2022.04.21 13:53:34 +04'00'

--- ---

შემსყიდველი მიმწოდებელი

2022 წლის N8 (შპს „კორვეტი“) ხელშეკრულების დანართი #1

№	საქონლის კლასიფიკატორის(CPV)კოდი	საქონლისდასახელება	ზომა სერთ ეული	რაოდენობა	ფასი	თანხა
1	30125110	მელანი უნივერსალური BLACK 100 მლ. InkSystem	ცალი	3	20,00	60,00
2	30125110	მელანი უნივერსალური CYAN 100 მლ. InkSystem	ცალი	2	20,00	40,00
3	30125110	მელანი უნივერსალური MAGENTA 100 მლ. InkSystem	ცალი	2	20,00	40,00
4	30125110	მელანი უნივერსალური YELLO 100 მლ. InkSystem	ცალი	2	20,00	40,00
5	30125110	მელანი უნივერსალური L.CYAN 100 მლ InkSystem	ცალი	1	20,00	20,00
6	30125110	მელანი უნივერსალური L.MAGENTA 100 მლ InkSystem	ცალი	1	20,00	20,00
		სულ:				**220,00**

---------- ----------

შემსყიდველი მიმწოდებელი

ინფორმაცია

ა(ა)იპ ნიკოლოზ კანდელაკის სახელობის სამხატვრო სკოლის მიერ სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებაში უფლებამოსილი პირის მონაწილეობისას ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

20 აპრილი 2022 წ.

ხელშეკრულებაზე კონტროლის/ზედამხედველობის განმახორციელებელი პირი: **გურამ ფუტკარაძე (დირექტორი)**
ხელშეკრულება: სახელმწიფო შესყიდვების შესახებ
შესყიდვის ფორმა: გამარტივებული შესყიდვა
მიმწოდებელი: **შპს „კორვეტი“** **ს/კ 445454749** **Korveti2015@gmail.com** **იურ/მის: ქ.ბათუმი, მ.აბაშიძის გამზ.63** **დირექტორი: ბადრი აბულაძე**

ვადასტურებ, რომ მიმწოდებელსა და ჩემს შორის არ არსებობს საქართველოს საგადასახადოკოდექსის მე-19 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული განსაკუთრებულიურთიერთობები და შესაბამისად, ჩემი მონაწილეობა მიმწოდებლის შერჩევისა თუ შესყიდვის განხორციელებაში (ზედამხედველობა, კონტროლი) არ იწვევს ინტერესთა კონფლიქტს.

გურამ ფუტკარაძე ----------

---------- ----------

შემსყიდველი მიმწოდებელი